უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №15

ქ. თბილისი 25.12.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ირინე კვახაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;
ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ელენე ჯიბლაძე - ცენტრის დირექტორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ შენგელია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისატი;
ანა ლელაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. რუსთველი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი) - საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თავმჯდომარე;
2. ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორი; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის წარმომადგენელი; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის წარმომადგენელი; ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიის წარმომადგენელი.
3. დეკანოზი ბესარიონ ცინცაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი საგანმანათლებლო დარგში;

4. გიორგი ნატროშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
5. დეკანოზი შალვა კეკელია - ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანი;
6. ლელა კალიჩენკო - ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის იურიდიული სამსახურის უფროსი;
7. დეკანოზი ირაკლი ახალაძე - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი;
8. ზაზა სირბილაშვილი - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
9. არქიმანდრიტი იოანე კიკვაძე - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი;
10. თამაზ გაბისონია - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის დეკანი;
11.ნატალია ყველიშვილი - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის იურისტი;
12.ხათუნა დიდებელი - ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
დავით ბოსტოღანაშვილი;
ნინო ჯოჯუა;
ნონა ზუმბაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
თამარ შუდრა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - თინათინ ბრეგვაძე.

ხსდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:15 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ 2014 წლის 30 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილ იქნა გაანაცხადი 6 უმაღლეს საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საკითხზე. განაცხადს თან ერთვოდა თითოეული ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების თვითშეფასების შევსებული კითხვარი და შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია გადამოწმებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების მიერ და შედგა შესაბამისი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^4 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ამ კანონის საფუძველზე დაფუძნებული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 2015 წლის 1 იანვრამდე ითვლებიან ამ კანონის შესაბამისად ავტორიზებულად. 2015 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ექვემდებარებიან ავტორიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^5-ე მუხლის თანახმად, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებს, ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას გადიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი განსხვავებული წესის შესაბამისად. ავტორიზაციის განსხვავებული წესი

დადგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით. ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ ავტორიზაციის პროცედურის განსხვავებული წესი გულისხმობდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ექსპერტთა მიერ დასკვნების შემუშავებას. აღნიშნული წესის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ იმ დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებდა მხოლოდ საღვთისმეტყველო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთან, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული იყო ის პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც გააჩნდათ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს.

ლაშა მარგიშვილმა დაამატა, რომ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

ა) თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
ბ) ხატწერის საგანმანათლებლო პროგრამა;
გ) საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) საგანმანათლებლო პროგრამა;
დ) საეკლესიო მუსიკისა და საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
ე) ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
ვ) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
ზ) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამა;
თ) ქრისტიანული ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამა.

1. ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა, დავით ბოსტოღანაშვილმა და ნინო ჯოჯუამ.

ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებულ სამივე სტანდარტს. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი სახის ტექნიკური უზუსტობები:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულების მისია არ იძებნებოდა დაწესებულების ვებგვერდზე და ექსპერტებს ის აღებული ჰქონდათ დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასების კითხვარიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვებგვერდზე მოხდა ინფორმაციის განახლება და დამატება, ამ ეტაპზე ყველა აუცილებელი ინფორმაცია ასახული იყო ვებ გვერდზე, მათ შორის მისიაც.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ვებგვერდზეც განთავსებულიყო დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიც, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაციის განახლების რეჟიმის დასრულების შემდეგ მოხდებოდა აღნიშნულის გათვალისწინებაც. მან ასევე დაამატა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში მოხდებოდა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტთან მემორანდომის გაფორმება, დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა გადასვლის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, ამჟამად თუ ხორციელდებოდა სასწავლო პროცესი დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამივე საფეხურზე მიმდინარეობდა სწავლება.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით დაწესებულებას შეეძლო მიეღო 1 500 სტუდენტი.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 1 500 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404439247) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.

2. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოს სხდომაზე ექსპერტებმა ვერ მოახერხეს დასწრება, თავად წარადგენდა ექსპერტთა დასკვნას. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საგანმანათებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან მიმართებით შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, რამდენი ხანი იყო რაც დაწესებულება ფუნქციონირებდა და რამდენი სტუდენტი ჰყავდა ამჟამად. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარატა, რომ დაწესებულება დიდი ხანია ფუნცქიონირებდა და ამ ეტაპზე ბაზაში 290 სტუდენტი უფიქსირდებოდათ.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა, თუ რა წყაროებით ფინანსდებოდა დაწესებულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აფინანსებდა საქართველოს საპატრიარქო. მან ასევე დაამატა, რომ არსებული რესურსების გათავლსიწინებით დაწესებულება შეძლებდა მიეღო 300 სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212917780) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნონა ზუმბაძემ. მან განმარტა, რომ დაწესებულებას არ უდასტურდებოდა ფართის ფლობა საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების ფართი საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც სარგებლობაში ჰქონდა გადმოცემული დაწესებულებას, რაც დასტურდებოდა საქართველოს საპატრიარქოს თანხმობის წერილით ფართის ფლობასთან დაკავშირებით. მან დაამატა, რომ მოცემულ შემთხვევაში ტექნიკური საკითხი იყო მოსაწესრიგებელი და იანვრის ბოლოსთვის მოხდებოდა საჯარო რეესტრში აღნიშნულის ასახვა.

სხდომის თავმჯდომარე, თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა, მოხდა თუ არა დასკვნაში ასახული შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაზიარება დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაფიქსირებული იყო ტექნიკური შეცდომა, რომელიც გამოსწორდა დაწესებულების მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმრტა, რომ დაწესებულება იზიარებდა ყველა რეკომენდაციას და მოხდებოდა მათი გათვალისწინება. მან აქვე დაამატა, რომ დაწესებულებას შეეძლო არსებული რესურსით მიეღო 150 სტუდენტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის თანახმად, დაწესებულებას შეეძლო 150 სტუდენტისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445433674) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

4. ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მინიჭებისათვის დადგენილ სამივე სტანდარტს.

ნინო ფეტვიაშვილის თქმით, დაწესებულების მისიაში დაფიქსირებული იყო, რომ სასწავლებელი თანამედროვე ტექნიკური, საინფორმაციო და კომუნიკაციის საშუალებებით ქმნიდა სწავლის/სწავლების და კვლევის ოპტიმალურ პირობებს, აღნიშნული კი არ დასტურდებოდა წარმოდგენილი სილაბუსებით. ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა, აღნიშნულის ასახვა პროგრამაში და მისი გათვალისწინება სილაბუსებში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა ჩანაწერი - ,,სამეცნიერო კვლევების დაფინანსება იქნება გათვალისწინებული''. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩანაწერში იგულისხმებოდა 2015 წლის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისათვის თანხის გამოიყოფოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404924310) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნონა ზუმბაძემ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითი იყო და დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის მინიჭებისათვის დადგენილ სამივე სტანდარტს. ნონა ზუმბაძის თქმით დაწესებულება ახორციელებდა თეოლოგიისა და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამებს, დასკვნაში დაფიქსირებული იყო ამ პროგრამებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც სასურველი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო დაწესებულების მიერ.

სხდომის თავმჯდომარე, თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ როგორ ასწავლიდა დასკვნის მიხედვით, თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფსიქოლოგიის სასწავლო კურსს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეოლოგიის პროგრამაზე არსებობდა დისციპლინა, რომლის გაძღოლისთვისაც უმთავრესი იყო შესაბამისი უნარ-ჩვევების ქონა, რომელიც ექსპერტა დასკვნაში აღნიშნულ პიროვნებას გააჩნდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარის მიხედვით დაწესებულებას შეეძლო აღნიშნული რაოდენობის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 441555452) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

6. ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა თამარ შუდრამ. მისი თქმით, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა მხოლოდ შემდეგი არსებითი ხასიათის შენიშვნის დაფიქსირება დაწესებულების მიმართ, კერძოდ:

1. **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,სემინარიის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზო განათლება ზოგად და სპეციალურ თეოლოგიურ და საღვისმეტყველო საგნებში". მართალია, მოცემულ კონტექსტში სიტყვები ,,საბაზო განათლება" გულისმობდა თეოლოგიურ და საღვისმეტყველო საგნებში ძირითადი საკითხების ცოდნას, თუმცა რამდენადაც, საგანმანათლებლო ტენმინოლოგიაში ,,საბაზო განათლება" ძირითად გამოიყენებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებით, მიზანშეწონილია მომხდარიყო მისი სხვა სიტყვებით ჩანაცვლება.

1.2 დებულების მე-7 მუხლის მე-13 პუნქტში მითითებულ იყო ,,თუ სტუდენტი საგამოცდო კომისიის წინაშე საბაკალავრო ნაშრომის დასაცავად ვერ წარსდგა, ან წარსდგა მაგრამ მიიღო უარყოფითი შეფასება, უფლება აქვა მომდევნო 2 წლის განმავლობაში ისარგებლოს ამ უფლებით." სასურველია დაკონკრეტებულიყო რა იგულისხმებოდა ტერმინში ,,უფლება".

1.3 მიზანშეწონილია თეოლოგიის პროგრამაში დაზუსტებულიყო თუ როგორ ხდებოდა სტუდენტის ყოველდღიური აქტიურობის (რომელიც ფასდება 5 ქულით) კონვერტაცია ჯგუფური მუშაობის ჯამურ 40 ქულაზე.

1.4 სასურველი იყო ზოგიერთ სილაბუსში, რომლებიც წარმოადგენდენ ერთმანეთის მიმდევარ სასწავლო კურსებს, გადახედილიყო მიზნები და შედეგები. აგრეთვე, მართალია სასწავლო გეგმის მიხედვით, ერთმანეთის მიმდევარი სასწავლო კურსები ისწავლებოდა სხვადასხვა სემესტრებში, თუმცა სასურველი იყო მათი ურთიერთმიმართების მეტი დაკონკრეტების მიზნით, მომხდარიყო მომდევნო სასწავლო კურსებში წინა სასწავლო კურსების წინაპირობებად მითითება. (მაგ. თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის - ,,ბერძნული 1" და ,,ბერძნული 2" , ,,გალობა 1" და ,,გალობა 2" და სხვა. ქრისტიანული ფსიქლოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის - „ძველი აღთქმა I" და „ძველი აღთქმა II", „გამოყენებითი ხელოვნება I" და „გამოყენებითი ხელოვნება II" და სხვა).

2. **ადამინურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, თუმცა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

2.1.1 სოფიო ლაჭყეპიანი (ასოცირებული პროფესორი) - ქრისტიანული ფსიქოლოგიის პროგრამაზე კითხულობდა თანამედროვე ბერძნულ ენას. კვალიფიკაციით იყო ქართული და სომხური ენების პედაგოგი. ბერძნული ენის ცოდნა უდასტურდებოდა საბერძნეთში გავლილი ენის კურსებით წარმოდგენილი იყო სერტიფიკატი). 2013 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე ასწავლდა ბერძულ ენას ცაგერის წმინდა ილია მართვილის სახელობის სემინარიაში.

2.2.2 ნუნუ ახვლედიანი (მოწვეული/ასისტენტ-პროფესორი) - თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე კითხულობდა გამოყენებით ხელოვნებას (მინანქარს). კვალიფიკაციით იყო ინჟინერ-მექანიკოსი. ხელოვნების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება ჰქონდა ცაგერის სკოლაში (2006 წლიდან) და სემინარიაში (2010 წლიდან).

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და მოხდებოდა მათი გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, ადგილზევე ფუნქციონირებდა თუ არა შემდეგი საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულებები: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარია, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულებები რეგიონებში, ადგილზევე ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმინაობას. მან აქვე აღნიშნა, რომ საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარია და წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია ფუნქციონირებდა სამონასტრო სივრცეში, სადაც გარემო ორიენტირებული იყო კურსდამთავრებულების პიროვნულად სასულიერო პირების გაზრდაზე.

სხდომის თავმჯდომარე, თინათინ ბრეგვაძე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტი უფიქსირდებოდა ამჟამად დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება 2013 წლის მარტში დაფუძნდა და 2 საბაკალავრო პროგრამაზე 12 აქტიური სტუდენტი ჰყავდათ. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას შეეძლო მიეღო 80 სტუდენტი.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას 80 სტუდენტისთვის შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის" მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 442569356) 2015 წლის 1 იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:00 საათზე.

თავმჯდომარე
თინათინ ბრეგვაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე